

დავით აღმაშენებლის  
იუსტიციის  
სახელმწიფო



სამართლებრივი უფლებების  
დასაცავად სახელმწიფოს  
სამართლებრივი პარამეტრები,  
სამართლებრივი ბაზისების

თბილისი 2021

დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფი



<https://www.facebook.com/დამოუკიდებელი-იურისტების-ჯგუფი-Group-of-Independent-Lawyers-648795978915557>

მართლმსაჯულების  
საბჭოები  
საქართველოსა და  
საზღვარბარეთ,  
საქართველოში  
არსებული  
ბამონვაები

ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბროშურის შინაარსზე პასუხისმგებელია დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფი. ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის შეხედულებებს.



**USAID**  
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE  
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა  
საქართველოში (PROLoG)

თბილისი 2021

ავტორი: **კახა წიქარიშვილი, ირაკლი კორძასია**  
გამოცემაზე პასუხისმგებელი: **დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფი**  
ტექსტის რედაქტორი: **მარიამ იაშვილი**  
დიზაინი და ტექნიკური რედაქტირება: **ქეთევან გოგავა**

# შინაარსი

შესავალი .....	5
1. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კონსტიტუციით განსაზღვრული რეგულირება საქართველოში .....	7
2. მართლმსაჯულების უმაღლესი საბჭოების შესახებ საქართველოს სტანდარტები.....	9
3. მართლმსაჯულების საბჭოების მოდელები და აკადემიური მოსაზრებები .....	12
4. ცალკეული ევროპული ქვეყნის გამოცდილება არამოსამართლე წევრების მონაწილეობის თვალსაზრისით .....	18
5. იუსტიციის უმაღლეს საბჭოს შერჩევასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული პრობლემები საქართველოში .....	20
დანაკვან.....	26



სასამართლო სისტემის სწორ ადმინისტრირებას აქვს უდიდესი მნიშვნელობა სასამართლო სისტემის გამართული მუშაობისთვის. სასამართლო სისტემის ადმინისტრირებამ უნდა უზრუნველყოს ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობა გარე და შიდა გავლენებისგან, სასამართლოს საზოგადოების მიმართ ანგარიშვალდებულება, ეფექტიანობა, ხარისხი და სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობა. სამწუხაროდ, საქართველოში სასამართლო სისტემის ადმინისტრირება, დემოკრატიული საზოგადოებისთვის აუცილებელი მინიმალური სტანდარტით, ვერც ერთ მიზანს ვერ აღწევს.

მე-20 საუკუნის ბოლოს და 21-ე საუკუნის დასაწყისში, აღმოსავლეთ ევროპაში, ფართოდ გავრცელდა სასამართლო სისტემის კოლეგიური მართვის მოდელი, სადაც მოსამართლეები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. სწორედ ამ მოდელს გაეწია რეკომენდაცია ევროპული საკონსულტაციო ორგანოების – მათ შორის ევროსაბჭოს, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს და ვენეციის კომისიის მიერ შედგენილ დოკუმენტებში. მიუხედავად ამისა, წინამდებარე მოდელი არ წარმოადგენს სავალდებულო სტანდარტს: როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში შემორჩენილია ე.წ. იუსტიციის სამინისტროს მოდელი.

USAID დაფინანსებით, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის პროექტის PRoLOG მხარდაჭერით, დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფმა შეისწავლა მართლმსაჯულების საბჭოებთან დაკავშირებული ევროპული სტანდარტები, გაანალიზა ევროპულ ქვეყნებში არსებული მართლმსაჯულების საბჭოს მოდელები და აღწერა მათი მსგავსებები და განსხვავებები საქართველოში არსებულ მოდელთან.

სასამართლო სისტემის ადმინისტრირების როგორც ქართული, ასევე აღმოსავლეთ ევროპული გამოცდილება მოწმობს, რომ არსებობს სასამართლო ადმინისტრირების მექანიზმების ინდივიდუალურ მოსამართლეებზე ზემოქმედების მიზნით გამოყენების საფრთხე. მოსამართლეთა თვითმმართველობების მოდელის შემოღებამ ხელი შეუწყო მოსამართლეთა კორპორატივიზმის გაძლიერებას და მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფების ხელში ძალაუფლების თავმოყრას აღმოსავლეთ ევროპის ბევრ სხვა ქვეყანაშიც.

სასამართლო ადმინისტრირების ქართული მოდელი, რომელიც 2007 წლამდე აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ სასამართლოს მართვაზე იყო მორგებული, თანდათანობით შეიცვალა თვითმმართველობის მოდელით. 2013 წლამდე, იუსტიციის უმაღლესი საბჭო, როგორც მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანო, მეტწილად ფორმალურად ახორციელებდა სასამართლო სისტემის ადმინისტრირებას, ვინაიდან ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება რეალურად თანხმდებოდა იუსტიციის მინისტრთან. 2013 წლის შემდეგ, მოსამართლეებს მიეცათ თვითმმართველობის განხორციელების შესაძლებლობა, თუმცა სასამართლოზე ძალაუფლება ხელში ჩაიგდო იმ ჯგუფმა, deწინა ხელისუფლება აკონტროლებდა სასამართლოს. მოსამართლეთა თვითმმართველობა იქცა ამ ჯგუფის მიერ საკუთარი ძალაუფლების გამყარების მექანიზმად.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ევროპული სტანდარტები პირდაპირ მიუთითებენ, რომ მართლმსაჯულების საბჭო არ უნდა იქცეს კორპორატივიზმის, ქრონიზმისა და ძალაუფლების კონცენტრაციის წყაროდ. სამწუხაროდ, ეს საფრთხეები არ ან ვერ იქნა გათვალისწინებული 2013 წლის შემდეგ, მართლმსაჯულების 4 ტალღის საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავებისას. მოხდა ძალაუფლების კონცენტრაცია იუსტიციის უმაღლესი საბჭოში, რომელიც, თავისი მხრივ, მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის – ე.წ. კლანის ხელში მოექცა. საქართველოში წლებია პოლიტიკური ხელისუფლება ახერხებს სასამართლოს საქმიანობაში ჩარევას. ეს ხდება სწორედ კლანის მეშვეობით, რომელსაც აქვს ფართული კომუნიკაცია მოქმედ ხელისუფლებასთან.

იუსტიციის უმაღლეს საბჭოში არამოსამართლე წევრების შეყვანამ, რაც საზოგადოების მიმართ ანგარიშვალდებულების მექანიზმი უნდა ყოფილიყო სასამართლო სისტემის მხრიდან, წარმოშვა როგორც საკანონმდებლო, ასევე პრაქტიკული სახის პრობლემები. როგორც აღმოჩნდა,

იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან პოლიტიკოსების გამოყვანა არ არის საკმარისი სასამართლო სისტემის დეპოლიტიზებისთვის, ვინაიდან მსგავსი ფუნქცია შეიძლება იკისრონ პოლიტიკური უმრავლესობის მიერ დანიშნულმა არამოსამართლე წევრებმაც.

საბოლოო ჯამში, წინამდებარე კვლევაში წარმოჩენილია საჭიროება იუსტიციის უმაღლესი საბჭო მნიშვნელოვანი რეფორმირებისა. ცვლილებები უნდა განხორციელდეს ძალაუფლების დეკონცენტრაციის, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალების გაზრდის მიმართულებით. მათი მიზანი უნდა იყოს მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფების ძალაუფლების შემცირება, მოსამართლეთა ინდივიდუალური დამოუკიდებლობის, სასამართლო სისტემის ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალების გაზრდა.

# 1. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კონსტიტუციით განსაზღვრული რეგულირება საქართველოში

იუსტიციის უმაღლესი საბჭო („საბჭო“) საქართველოში კონსტიტუციური ორგანოა, რომლის ფუნქციები და შემადგენლობა განსაზღვრულია კონსტიტუციის 64-ე მუხლით. ამ ორგანოს შექმნის ძირითადი მიზნებია სასამართლოს სისტემის დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა. კონსტიტუციაში არ არის განსაზღვრული საბჭოს ფუნქცია, როგორც სასამართლო სისტემის საზოგადოების მიმართ ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა. საქართველოს კონსტიტუციის 64-ე მუხლის მე-4-ე პუნქტით, იუსტიციის უმაღლესი საბჭო ანგარიშვალდებულია საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს წინაშე. ცხადია, რომ აღნიშნული ვერ იქნება ტოლფასი საერთო სასამართლოების სისტემის კონსტიტუციური ორგანოს – საბჭოს ანგარიშვალდებულებისა საზოგადოების მიმართ.

საბჭოს ფუნქციებში სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის და ეფექტიანობის კონსტიტუციაში განსაზღვრა შესაბამისობაში მოდიოდა მართლმსაჯულების საბჭოს ევროგაერთიანების და ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებული მოდელის თავდაპირველ კონცეფციასთან, როდესაც მართლმსაჯულების დამოუკიდებლობა და ეფექტიანობა მის ძირითად სიკეთედ მოიაზრებოდა.<sup>1</sup> თუმცა, დროთა განმავლობაში, ევროგაერთიანებამაც და ევროპის საბჭომაც აღიარეს მართლმსაჯულების საბჭოების შექმნის სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი, მიზნები, ესენია: გამჭვირვალობა, ჩართულობა და ანგარიშვალდებულება. მანამდე, აკადემიურ ლიტერატურაში სასამართლო სისტემის ანგარიშვალდებულება, როგორც მართლმსაჯულების საბჭოების არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზანი, უკვე არაერთ აკადემიურ ნაშრომში იყო მოაზრებული<sup>2</sup>; თუმცა, ევროგაერთიანებისა და ევროპის საბჭოს კონცეპტუალური დოკუმენტები ანგარიშვალდებულებას შეზღუდულად, მხოლოდ იუსტიციის საბჭოსთან მიმართებით მოიაზრებდნენ<sup>3</sup>. მხოლოდ 2013-2014 წლებიდან გვხვდება სასამართლოს ანგარიშვალდებულება ამ დოკუმენტებში სასამართლო დამოუკიდებლობის ტოლფასად.<sup>4</sup>

კონსტიტუციის 64-ე მუხლის ჩანაწერს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლეთა კონფერენციის წინაშე ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებით, აზუსტებს საქართველოს ორგანული კანონი (შემდგომში „კანონი“) საერთო სასამართლოების შესახებ, 47-ე მუხლი. წინამდებარე კანონის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ანგარიშვალდებულია საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის წინაშე, რაც გამოიხატება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მიერ საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციაზე ყოველწლიური ანგარიშის წარდგენაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ.

ამ პირობებში, როდესაც საბჭოს ანგარიშვალდებულება ვიწროდ არის განსაზღვრული კონსტიტუციით ან ორგანული კანონით, მეტი მნიშვნელობა ენიჭება საბჭოს შექმნისას ევროპული მოდელის ავტორების მხრიდან აღიარებულ – ჩართულობისა და გამჭვირვალების პრინციპებს,

- 1 დამოუკიდებლობაზე: CCJE, რეკომენდაცია N10 (2007) პარ. 8, მინისტრთა კომიტეტის CM/RE(2010) 17.11.2010 პარ. 4, ეფექტიანობაზე: მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No R(94) 12, 13.10.1994, CCJE რეკომენდაცია N10 (2007) პარ. 10; ENCJ, ანგარიში მართლმსაჯულების საბჭოებზე 2010-2011, პარ. 1.7
- 2 მაგალითისთვის Nuno Garoupa and Tom Gisburg, “Guarding the Guardians: Judicial Counsels and Judicial Independence” (2009) American Journal of Comparative Law. 110
- 3 David Kosar Perils of Judicial Self-Government in Transitional Societies, Cambridge University Press 2016, 139, CCJE რეკომენდაცია 10(2007) თავი IV. ENCJ, ანგარიში მართლმსაჯულების საბჭოებზე 2010-2011, პარ. 2.2
- 4 ENCJ დამოუკიდებლობა და ანგარიშვალდებულება მართლმსაჯულებაში [https://www.ency.eu/images/stories/pdf/workinggroups/independence/ency\\_report\\_independence\\_accountability\\_adopted\\_version\\_sept\\_2014.pdf](https://www.ency.eu/images/stories/pdf/workinggroups/independence/ency_report_independence_accountability_adopted_version_sept_2014.pdf)



რომელთაგან, კონსტიტუციის 64-ე მუხლით, მხოლოდ ჩართულობის<sup>5</sup> პრინციპია აღიარებული.

საქართველოში იუსტიციის უმაღლესი საბჭო, ისტორიულად, სამი სხვადასხვა მოდელით არის წარმოდგენილი: 2007 წლამდე იუსტიციის უმაღლესი საბჭო პრეზიდენტის სათაბირო ორგანოს წარმოდგენდა და 19 წევრისგან შედგებოდა. მის შემადგენლობაში შედიოდნენ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, იუსტიციის მინისტრი, პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე, პრეზიდენტის მიერ დანიშნული 2 წევრი, პარლამენტის მიერ შერჩეული 1 წევრი და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეული 9 წევრი.

2007-2013 წლებში იუსტიციის უმაღლესი საბჭო გახდა დამოუკიდებელი ორგანო და მას ჩამოაცილდა საქართველოს პრეზიდენტი. შედგებოდა 15 წევრისგან, საიდანაც 8 მოსამართლე პირს ირჩევდა მოსამართლეთა კონფერენცია უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგენით, 4 წევრს წარმოადგენდა პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე და პარლამენტის მიერ არჩეული 3 პირი, ხოლო 2 არამოსამართლე წევრს ნიშნავდა საქართველოს პრეზიდენტი.

2013 წლის შემდეგ და დღევანდელი მდგომარეობით იუსტიციის უმაღლესი საბჭო შედგება 15 წევრისგან, საიდანაც 8 მოსამართლე პირს ირჩევს მოსამართლეთა კონფერენცია თავისუფალი ნომინირების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე არის საბჭოს ex officio წევრი, 5 არამოსამართლე წევრს ირჩევს საქართველოს პარლამენტი (სრული შემადგენლობის 3/5-ით) და 1 წევრს – საქართველოს პრეზიდენტი.

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონით, საქართველოს პარლამენტმა და საქართველოს პრეზიდენტმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად შეიძლება აირჩიოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხით/უმაღლესი განათლების დიპლომით, სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება, მაღალი რეპუტაცია და არის სამართლის დარგის აღიარებული სპეციალისტი.

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის დელეგირებული ფუნქციები შესაძლოა დავყოთ შემდეგ ძირითად ჯგუფებად:

- ა. საკადრო ფუნქცია (მოსამართლეთა და სასამართლოს თავმჯდომარეთა დანიშვნა, დაწინაურება, გათავისუფლება, გადაყვანა, მოსამართლეთა წახალისება, სასამართლოებში მოსამართლეთა რაოდენობისა და სპეციალიზაციის განსაზღვრა, საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზება, სასამართლო მოხელეთა საშტატო ნუსხის დამტკიცება და სხვ.);
- ბ. დისციპლინური ფუნქცია (დამოუკიდებელი ინსპექტორის შერჩევა, დისციპლინური საჩივრების გამოკვლევა, მოსამართლის პასუხისგებაში მიცემა, დისციპლინური ბრალდების მხარდაჭერა);
- გ. რეგულაციური ფუნქცია (სასამართლოების მუშაობის ორგანიზაციული წესის დამტკიცება, მოხელეთა შეფასების წესის დამტკიცება, ა.შ.);
- დ. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ფუნქცია (საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის ანალიზის მოსმენა);
- ე. სასამართლო სისტემის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის ფუნქცია (სასამართლოების შექმნა და მათი სამოქმედო ტერიტორიების განსაზღვრა, ასევე, სტატისტიკის ანალიზი).
- ვ. სხვა არასასამართლო ფუნქციები (მედიაციის პროგრამის დამტკიცება, იურიდიული დახმარების საბჭოს წევრის არჩევა და ა.შ.).

5 participation ნათარგმნია ჩართულობად, თუმცა ასევე შეიძლება მონაწილეობადაც ითარგმნოს.

## 2. მართლმსაჯულების უმაღლესი საბჭოების შესახებ საქართველოს სტანდარტები

სამოსამართლო საბჭოს შექმნასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებით არ არსებობს რაიმე სავალდებულო საერთაშორისო სტანდარტი. უფრო მეტიც, ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში (მაგ., გერმანია, ჩეხეთი და სხვ.) სამოსამართლო საბჭო, კლასიკური გაგებით, არ არსებობს და სასამართლო სისტემის ადმინისტრირებას ცენტრალურ დონეზე იუსტიციის სამინისტრო ახორციელებს.

სამოსამართლო საბჭოების შექმნასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საერთაშორისო დოკუმენტებს, ძირითადად, სარეკომენდაციო ხასიათი გააჩნიათ.

ევროპის მასშტაბით, ყველაზე მოცულობითი დოკუმენტია – ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს 2007 წლის მოსაზრება #10 – სამოსამართლო საბჭო საზოგადოების სამსახურში.

აღნიშნული დოკუმენტი ეხება მართლმსაჯულების საბჭოს შექმნისა და მისი ფუნქციონირების შემდეგ ძირითად ასპექტებს:

### ა. მისია:

- იუსტიციის საბჭოს მისიაა სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისა და მოსამართლეთა ინდივიდუალური დამოუკიდებლობის დაცვა, ასევე მართლმსაჯულების ხარისხის და ეფექტურობის უზრუნველყოფა, სასამართლოს მიმართ საზოგადოებრივი ნდობის უზრუნველყოფა<sup>6</sup>. მართლმსაჯულების საბჭოს მისია გამოიხატება აგრეთვე – მოსამართლეთა დაცვაში პოლიტიკური, იდეოლოგიური და კულტურული ზეწოლისგან და მათი შეუზღუდავი თავისუფლების უზრუნველყოფაში<sup>7</sup>.

### ბ. ჩარჩო

- რეკომენდებულია სასამართლო საბჭოს ძირითადი ასპექტები კონსტიტუციით ან სხვა მაღალი რანგის კანონმდებლობით იქნას გაწერილი<sup>8</sup>.

### გ. შემადგენლობა

- მართლმსაჯულების საბჭო შეიძლება შედგებოდეს ან მხოლოდ მოსამართლეებისგან ან მოსამართლეებისა და არამოსამართლეებისგან<sup>9</sup>. ნებისმიერ შემთხვევაში, თავიდან უნდა იქნას აცილებული თვითდანიტერესების, თვითპროტექციის და ფავორიტიზმის ალქმა<sup>10</sup>. იმ შემთხვევაში, თუ მართლმსაჯულების საბჭო შედგება მოსამართლეებისა და არამოსამართლეებისგან, უმრავლესობას უნდა შეადგენდნენ მათი კოლეგების მიერ არჩეული მოსამართლეები<sup>11</sup>.

6 ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს 2007 წლის მოსაზრება #10 – სამოსამართლო საბჭო საზოგადოების სამსახურში პარ. 9-10.

7 იქვე.

8 იქვე, პარ. 9

9 პარ. 16

10 პარ. 16

11 პარ. 18.

#### დ. საბჭოს წევრთა კვალიფიკაცია

- წევრების შერჩევა უნდა მოხდეს კომპეტენციის, გამოცდილების, სასამართლოს ფუნქციონირების ცოდნის, დისკუსიისა და დამოუკიდებლობის კულტურის მხედველობაში მიღებით (პარ. 21);
- არამოსამართლე წევრები შეიძლება შერჩეულ იქნეს გამორჩეული კვალიფიკაციის იურისტებისგან, უნივერსიტეტის პროფესორებისგან, ან გამორჩეული სტატუსის მოქალაქეებისგან (პარ. 23);
- საბჭოს წევრები არ უნდა იყვნენ მოქმედი პოლიტიკოსები, პარლამენტის წევრები ან აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები (პარ. 24).

#### ე. საბჭოს წევრთა შერჩევა

##### საბჭოს მოსამართლე წევრების შერჩევა

- საბჭოს მოსამართლე წევრთა შერჩევა უნდა მოხდეს არჩევნების გზით, გარდა ექს ოფიცო წევრებისა (მაგ., უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე);
- მოსამართლე წევრების არჩევა უნდა მოხდეს ისეთი პროცედურით, რომელიც უზრუნველყოფს ყველა დონის სასამართლოს ფართო წარმომადგენლობას (პარ. 27), მათ შორის, ტერიტორიული ნიშნით (პარ. 30);
- სამოსამართლო წევრების არჩევნისას, მოსამართლეთა ასოციაციებს უნდა შეეძლოთ კანდიდატების წარმოდგენა, თუმცა, ასევე შესაძლებელია იმ მოსამართლეების არჩევა, რომლებიც ასოციაციებში არ არიან გაწევრიანებულები (პარ. 28).

##### საბჭოს არამოსამართლე წევრების შერჩევა

- საბჭოს არამოსამართლე წევრებს არ უნდა ირჩევდეს აღმასრულებელი ხელისუფლება. თუ წევრებს ირჩევს პარლამენტი, ისინი უნდა შეირჩნენ კვალიფიცირებული უმრავლესობის მიერ, რაც საჭიროებს ოპოზიციის მნიშვნელოვან მხარდაჭერას (პარ. 32). იუსტიციის უმაღლეს საბჭოში არამოსამართლე წევრები უნდა წარმოადგენდნენ ფართო საზოგადოებას (პარ. 32).

#### ვ. წევრთა რაოდენობა და მანდატი

- მართლმსაჯულების საბჭოს წევრთა რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს სასამართლო სისტემის მასშტაბებს და საბჭოს მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს (პარ. 34).

#### ზ. წევრთა სტატუსი

- მართლმსაჯულების საბჭოს წევრებს უნდა ჰქონდეთ მიუკერძოებლობის და დამოუკიდებლობის დაცვის გარანტიები. მათი ანაზღაურება უნდა შეესაბამებოდეს მათსავე პოზიციასა და საქმიანობას მართლმსაჯულების საბჭოში (პარ. 36).

#### თ. ბიუჯეტი და აპარატი

- მართლმსაჯულების საბჭოს უნდა ჰქონდეს სათანადო დაფინანსება, აპარატი და მატერიალური რესურსები მისი საქმიანობის სათანადო განხორციელების მიზნით (პარ. 37-38).

#### ი. მართლმსაჯულების საბჭოს გადაწყვეტილებები

- მართლმსაჯულების საბჭოს ზოგიერთი გადაწყვეტილება, რომელიც ეხება მართლმსაჯუ-

ლების ადმინისტრირებას და მენეჯმენტს, ასევე მოსამართლეთა დანიშვნასთან, გადაყვანასთან, დაწინაურებასა და დისციპლინასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები უნდა იყოს დასაბუთებული და ექვემდებარებოდეს გასაჩივრებას სასამართლო წესით (პარ. 39).

### კ. მართლმსაჯულების საბჭოს ფუნქციები

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს რეკომენდაციით, მართლმსაჯულების საბჭოს უნდა ჰქონდეს შემდეგი ფუნქციები (პარ. 42):

- მოსამართლეთა შერჩევა და დანიშვნა;
- მოსამართლეთა დაწინაურება;
- მოსამართლეთა შეფასება;
- დისციპლინისა და ეთიკის საკითხები;
- მოსამართლეთა ტრენინგი;
- ცალკე ბიუჯეტის კონტროლი და მართვა;
- მოსამართლეთა რეპუტაციის დაცვა;
- სხვა სახელმწიფო უწყებებისთვის დასკვნების მიწოდება;
- თანამშრომლობა სხვა შესაბამის ორგანოებთან ეროვნულ, ევროპულ და საერთაშორისო დონეზე;
- საზოგადოების მიმართ ანგარიშვალდებულება.

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო ფუნქციათა შორის კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, რეკომენდაციას უწევს, რომ მართლმსაჯულების საბჭოს ფუნქციები მისსავე დაქვემდებარებაში მყოფ სხვადასხვა პალატას შორის გადანაწილდეს. (პარ. 43).

დამატებითი დებულებებია გათვალისწინებული სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ კიევის რეკომენდაციებში (2010). კერძოდ:

- მართლმსაჯულების საბჭოში შემადგენლობაში არ უნდა შედიოდნენ სასამართლოს თავმჯდომარეები. თუ განხორციელდა მართლმსაჯულების საბჭოში მათი არჩევა, ისინი უნდა გადადგნენ თავმჯდომარის თანამდებობიდან<sup>12</sup>.
- ამასთან, კორპორატივიზმის და ძალაუფლების კონცენტრირების თავიდან ასაცილებლად, კიევის რეკომენდაციები შემოდის წინადადებით, რომ სასამართლო ადმინისტრირების ზოგიერთი ფუნქცია, როგორებიცაა, მაგ., მოსამართლეთა დანიშვნა, დაწინაურება და ტრენინგი, დისციპლინა, შეფასება, ბიუჯეტი – სხვადასხვა ორგანოში გადანაწილდეს<sup>13</sup>.

ვენეციის კომისიის 2021 წლის დასკვნა, რომელიც ეხება უკრაინაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების შერჩევის საკითხს, ყურადღებას ამახვილებს მართლმსაჯულების საბჭოს წევრთა კეთილსინდისიერების უზრუნველყოფაზე და დასაშვებად მიიჩნევს სპეციალური კომისიის შექმნას, რომელიც დააკვირდება მართლმსაჯულების საბჭოს ასარჩევი ან უკვე არჩეული წევრების კეთილსინდისიერების შემოწმების პროცესს<sup>14</sup>.

12 აღმოსავლეთ ევროპაში, სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში სასამართლოს დამოუკიდებლობის კიევის რეკომენდაციები, კიევის რეკომენდაციები, პარ. 7.

13 იხ. იქვე, პარ. 2

14 Opinion of Venice Commission, On the draft law on amendments to certain legislative acts of Ukraine concerning the procedure for electing (appointing) members of the High Council of Justice (hcj) and the activities of disciplinary inspectors of the hcj (draft law no. 5068) [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-PI\(2021\)004-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-PI(2021)004-e)

### 3. მართლმსაჯულების საბჭოების მოდელები და აკადემიური მოსაზრებები

იუსტიციის საბჭოს შემადგენლობა ერთ-ერთი ძირითადი საკითხია, რომელიც არა მარტო სასამართლო დამოუკიდებლობას, არამედ მის ანგარიშვალდებულებასაც უზრუნველყოფს. საბჭოში არამოსამართლე წევრების საბჭოს შემადგენლობაში ჩართულობის პრინციპი უფრო მეტად ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფისთვის არის გამიზნული და, გარკვეულწილად, საზოგადოების ან პოლიტიკური წრეების წარმომადგენელთა მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობით გამოიხატება. ეს პრინციპი მნიშვნელოვანია ევროპული მოდელის საბჭოებისთვის, რომლებიც მოსამართლეთა მიღების და მათ კარიერასთან დაკავშირებით, თითქმის ყველა საკითხზე ფართო კომპეტენციის არსებობით ხასიათდებიან. ხშირად ასეთ მოდელს ფრანგული იტალიურ მოდელსაც უწოდებენ<sup>15</sup> თუმცა, იმავდროულად, მსგავსი ტიპის საბჭოებს ახასიათებთ მოსამართლე წევრთა უმრავლესობა. ამასთან საბჭოების შემადგენლობა და საბჭოების კომპეტენცია ხშირად ურთიერთკავშირშია. ანგარიშვალდებულება მეტია, როდესაც საბჭოში არამოსამართლე წევრები სჭარბობენ, თუმცა, იმავდროულად, მაღალია სასამართლოს პოლიტიზაციის რისკი; ანგარიშვალდებულება ასევე შეიძლება მაღალი იყოს, როდესაც საბჭოს ფართო კომპეტენცია აქვს საჭიროა, რომ მოსამართლე წევრთა უმეტესობა არ იქცეოდეს ჰომოგენურად. ეს შესაძლებელია, როდესაც საბჭოში ქვედა ინსტანციებიდან წარმოდგენილი მოსამართლეები სჭარბობენ. ნუნო გარუპამ და ტომ გინსბურგმა აღწერეს საბჭოები ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებზე – კომპეტენცია და შემადგენლობა – დაყრდნობით. იხ. ცხრილი<sup>16</sup>:

კომპეტენციები	მოსამართლეები უზენაესი სასამართლოდან დომინირებენ	მოსამართლეები დაბალი ინსტანციებიდან დომინირებენ	არამოსამართლეები დომინირებენ
ინტენსიური (დისციპლინირება, მოხსნა, დაწინაურება, დანიშვნა)	ძლიერი იერარქიული მართლმსაჯულების საბჭო (იაპონია, მექსიკა, ტაილანდი)	ძლიერი არაიერარქიული მართლმსაჯულების საბჭო (იტალია, საფრანგეთი)	პოლიტიზებული მართლმსაჯულების საბჭო (ეკვატორი, ბარბადოსი, სინგაპური)
საშუალო(მხოლოდ დანიშვნები)	იერარქიული თვითრეგულირებადი სასამართლო დანიშვნების კომისია (ბანგლადეში)	არაიერარქიული თვითრეგულირებადი სასამართლო დანიშვნების კომისია (ბელგია)	სასამართლო დანიშვნების კომისია (აშშ, გაერთიანებული სამეფო, კანადა, ჰოლანდია, გერმანია)
მინიმალური (შიდა მოწყობის საკითხები)	სუსტი მართლმსაჯულების საბჭო (პანამა)	სუსტი მართლმსაჯულების საბჭო (ბრაზილია, უნგრეთი)	სუსტი მართლმსაჯულების საბჭო (პარაგვაი)

15 Nuno Garoupa, Tom Ginsburg “Guarding the Guardians: Judicial Councils and Judicial Independence” (2009) 57 American Journal of Comparative Law გვ. 110

16 იქვე, გვ. 103

ავტორების აზრით, მოსამართლეთა უმრავლესობა საბჭოში ნიშნავს იმას, რომ საბჭო ნაკლებად პოლიტიზებული იქნება, თუმცა მნიშვნელოვანია, საბჭოში წარმოდგენილი მოსამართლეების ქცევაში არ იკვეთებოდეს ჰომოგენური ერთობა. ავტორები აღნიშნულს უკავშირებენ შემთხვევას – როდესაც საბჭოს წევრთა უმეტესობა ზემდგომი სასამართლოებიდან არიან წარმოდგენილნი; რადგან ამ შემთხვევაში, ისინი შეეცდებიან სასამართლო იერარქიის გაძლიერებას.<sup>17</sup> ავტორების მიგნება საქართველოს მაგალითზეც დასტურდება: საბჭოს მოსამართლე 9 წევრიდან 7 არის, ან ბოლო პერიოდში იყო სხვადასხვა ინსტანციის თავმჯდომარე, ან – სასამართლოში არსებული კოლეგიებისა და პალატების თავმჯდომარე; საქართველოში კი მოსამართლე წევრები გადაწყვეტილებების მიღებისას იქცევიან, როგორც – ჰომოგენური ჯგუფი<sup>18</sup> (დაწვრილებით იხ. ქვემოთ). ავტორებს ასევე მიაჩნიათ, რომ თუ საბჭოს წევრები წარმოადგენენ სხვადასხვა სასამართლოს, ამ სასამართლოებში არსებული შიდა მიზნები და გამოწვევები ხელს შეუშლის საბჭოს წევრებს, რომ მათ იმოქმედონ როგორც ერთიანმა გუნდმა.<sup>19</sup>

აკადემიურ კვლევებში ფართოდ არის გავრცელებული მოსაზრება, რომ ძლიერი საბჭოს ევროპულ მოდელში, სადაც ბოლო პერიოდამდე იყო მოთხოვნა მოსამართლეთა უმრავლესობაზე, იწვევს გრძელვადიან პერსპექტივაში დამოუკიდებლობის გაძლიერების ხარჯზე სასამართლო სისტემის ანგარიშვალდებულების ნაკლებობას, რისი მაგალითებია აღმოსავლეთ ევროპის არაერთი ქვეყანა.<sup>20</sup> თავის მხრივ, ანგარიშვალდებულების ნაკლებობა ცალკეული მოსამართლეების დამოუკიდებლობის შეზღუდვასაც იწვევს. ასევე კრიტიკულად შესაფასებელია საბჭოების მიერ ძალაუფლების აკუმულირება, რაც მოხდა მოლდოვაში, საქართველოსა და უკრაინაში. უკვე არსებობს მსგავსი მაგალითები რუმინეთსა და უნგრეთშიც, სადაც ძლიერ საბჭოებს ხშირად აკრიტიკებდნენ ანგარიშვალდებულების არარსებობის გამო.<sup>21</sup> ლიდია მიულერის სტატია გამოქვეყნდა 2012 წელს, როდესაც საქართველოში ახალი მმართველი კოალიციის მოსვლის შემდეგ მალევე დაიწყო სასამართლო რეფორმატორული ინიციატივების განხორციელება ამ კუთხითაც საინტერესოა ლიდია მიულერის მოსაზრება, რომ მართალია ანგარიშვალდებულების ნაკლებობის შეფასება არ გაკეთებულა მოლდოვას, საქართველოს და უკრაინის შემთხვევაში, ძლიერი საბჭოს ტრენდის არსებობა ფართო კომპეტენციით მართლმსაჯულების ადმინისტრირების სხვადასხვა სფეროში უკვე ქმნის შეშფოთების საფუძველს. მართლმსაჯულების საბჭოები მოლდოვაში, საქართველოსა და უკრაინაში პასუხისმგებლები არიან როგორც მოსამართლეთა დანიშვნასა და დაწინაურებაში, ასევე სადისციპლინო დევნის წარმართვაში, მათ შორის სანქციების დაწესებაში, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში წარმოშობს ანგარიშვალდებულების ნაკლებობის რისკს<sup>22</sup> მართლმსაჯულების რეფორმების დაწყებიდან რამდენიმე წელში გაკეთებულ კვლევებში საქართველოში უკვე გამოიკვეთა სასამართლო სისტემაში პლურალისტური გარემოს არარსებობა, ანგარიშვალდებულების ნაკლებობა და საფრთხე – ინდივიდუალური მოსამართლეების დამოუკიდებლობის მიმართ<sup>23</sup>.

ჩართულობის კონცეფცია იცვლებოდა თავად მართლმსაჯულების საბჭოების ევროპული მოდელის ინიციატორების – ევროგაერთიანებისა და ევროპის საბჭოს მიერ. თავდაპირველი წი-

17 იქვე, გვ. 121

18 იხ. სხვა დოკუმენტთა შორის, სახალხო დამცველის 26.12.2018 განცხადება, 28.06.2019 განცხადება.

19 Nuno Garoupa, Tom Ginsburg, გვ. 121

20 Z. Fleck, *Judicial Independence in Hungary*, თავი B. I. 2. C. E დაბეჭდილი Anja Seibert-Fohr (ed.) *Judicial Independence in Transition*, Max Planck Institute for Comparative Public Law and International Law.

Parau, *The Drive for Judicial Supremacy*, თავი C. IV. იმავე გამოცემაში

R. Coman/C. Dallara, *Judicial Independence in Romania*, თავი B. I. 2; იმავე გამოცემაში

Lydia F. Muller, *Judicial Administration in Transitional Eastern Countries*, იმავე გამოცემაში გვ. 938

David Kosar, *მითითებული მე-3 სქოლიოში*, გვ. 139

21 Lydia F. Muller, *Judicial Administration in Transitional Eastern Countries*. გვ. 944

22 იქვე გვ. 944

23 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის #5 ანგარიში (2017), ხელმისაწვდომია <http://ewmi-prolog.org/ka/publications/613-iusticiis-umaghlesi-sabtshos-monitoringis>

ნააღმდეგობის შემდეგ მათ შეარბილეს პოზიცია და დაეთანხმნენ საბჭოს დაკომპლექტებას პარტიტულ საკითხებზე მოსამართლე და არამოსამართლე წევრებს შორის. მაგალითად, ENCJ მართლმსაჯულების საბჭოებზე ანგარიშში 2010-2011, პარ. 2.2. და მინისტრთა კაბინეტის რეკომენდაციაში CM/Rec (2010) 12 მოსამართლეებზე: დამოუკიდებლობა, ეფექტიანობა და მოვალეობები, 17.11.2010, პარ. 17 მისაღებად არის ჩათვლილი საბჭოს წევრთა ნახევარის შევსება მოსამართლეთა მიერ, მაშინ, როდესაც უფრო ადრინდელი დოკუმენტები ითხოვდნენ საბჭოებში მოსამართლეთა მნიშვნელოვან უმრავლესობას (CCJE, რეკომენდაცია No 10 (2007) საზოგადოების სამსახურში არსებულ მართლმსაჯულების საბჭოებზე (სტრასბურგი, 21-23 ნოემბერი, 2007) პარ. 18)<sup>24</sup>, ვენეციის კომისიის მოსაზრება No. 403 / 2006, სადაც ასევე განსაზღვრულია, რომ მოსამართლეები უმრავლესობაში უნდა იყვნენ იუსტიციის საბჭოში.<sup>25</sup>

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, აღმოსავლეთ ევროპაში მართლმსაჯულების საბჭოს მოდელის დანერგვამ არაერთგვაროვანი შედეგები გამოიწვია და ზოგ შემთხვევაში მძაფრი აკადემიური კრიტიკაც დაიმსახურა. მიუხედავად იმისა, რომ სამოსამართლო საბჭოს მოდელი აღიქმებოდა როგორც სასამართლოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელსაც ლობირებას უწევდნენ ევროპული სტრუქტურები (ევროკავშირი, ევროსაბჭო, ვენეციის კომისია, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო), პოსტსაბჭოთა მენტალობის მქონე და დამოუკიდებლობის კულტურის არმქონე სასამართლო სისტემებში მოსამართლეთა თვითმმართველობის დანერგვამ, ხელი შეუწყო მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფების ძალაუფლების გაძლიერებას, მოსამართლეთა ინდივიდუალიზმის შემცირებას, კორპორატივიზმსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ინსტრუმენტალიზაციას.<sup>26</sup>

ლიტერატურაში ერთმანეთისგან ასხვავებენ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამხრეთ ევროპულ და ჩრდილო ევროპულ მოდელებს. სამხრეთ ევროპულ მოდელში საბჭოს მთავარი ფუნქციაა სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, მოსამართლეთა შერჩევა (ან შერჩევის პროცესში მონაწილეობა), დისციპლინა, ხოლო ჩრდილო ევროპულ მოდელში ამ ფუნქციებთან ერთად, იუსტიციის საბჭოებს აქვთ ფართო უფლებამოსილებები სასამართლო ადმინისტრირების კუთხით (საქმეთა ნაკადზე ზედამხედველობა, ერთგვაროვანი პრაქტიკა, ლოჯისტიკა, ელექტრონული წარმოება, ტრენინგები, ბიუჯეტი და სხვ.)<sup>27</sup>. აღმოსავლეთ ევროპაში უმეტესწილად გავრცელებულია საბჭოს სამხრეთ ევროპული მოდელი, რომელიც ასევე შეზავებულია სასამართლოს ადმინისტრირების ფუნქციებით.

ქვემოთ განვიხილავთ საბჭოს შემადგენლობის, შერჩევის წესისა და ფუნქციონირების უფრო დეტალურ მოდელს:

24 David Kosar, მითითებული მე-3 სქოლიოში, გვ 139

25 სასამართლო დანიშვნები, ვენეციის კომისიის მოსაზრება No. 403 / 2006, 22.06.2017/ პარ. 50,

26 “Granting extensive self-administration powers to the judiciary before genuine internal reform is dangerous. In a better scenario, the new institution will be a somewhat empty shell for a few years or decades to come. In a bad case scenario, which unfortunately appears more frequently, behavior and patterns start emerging which are very distant from anything the model was supposed to deliver: Individual judicial independence and impartiality is not only unprotected, it may be suppressed by judicial bosses. To speak of efficiency, quality, or transparency—other values apart from the judicial independence the system promised to deliver—would amount to idealism bordering on naivety“. იხ. Michal Bobek & David Kosař, Global Solutions, Local Damages: A Critical Study in Judicial Councils in Central and Eastern Europe, 2014.

იხ. მაგ. სლოვაკეთის მაგალითი the Slovak Judicial Council, created following the best practices of the Euro-model, has turned gradually into a “mafia-like” structure of intra-judicial oppression, run in the name of “judicial independence” by judges who started their judicial careers in the communist period. იხ. იქვე.

27 CEPEJ Report – Councils for the Judiciary in EU Countries, Prof. Wim Voermans and Dr Pim Albers, <https://www.vkksu.gov.ua/userfiles/doc/cepej/CEPEJ%20Report%20on%20Councils%20for%20the%20Judiciry%20in%20EU%20countries.pdf>

### ა. შემაღვენლობა და წევრთა რაოდენობა.

იუსტიციის უმაღლესი საბჭო დაკომპლექტებულია ხელისუფლების სხვადასხვა შტოს მიერ შერჩეული წევრებით; უმეტეს შემთხვევაში, ისინი სამი სხვადასხვა შტოს – სასამართლოს, პარლამენტისა და პრეზიდენტის მიერ დანიშნულ (არჩეული) პირებს წარმოადგენენ.

ზოგიერთ ქვეყანაში, სამოსამართლო წევრებს შორის, ცალკეა გამოყოფილი სასამართლოს თავმჯდომარეების კვოტა. მაგალითად, საფრანგეთში ერთი წევრი გახლავთ სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე, რომელსაც მისი კოლეგა თავმჯდომარეები ირჩევენ და, ასევე პირველი ინსტანციის სასამართლოს თავმჯდომარე, რომელსაც ასევე ირჩევენ მისი კოლეგა თავმჯდომარეები<sup>28</sup>.

ზოგ ქვეყნებში (მაგალითად, საფრანგეთი, იტალია) იუსტიციის საბჭო ორი პალატისგან შედგება, სადაც ერთი პალატა სასამართლოს, ხოლო მეორე პალატა პროკურატურის ადმინისტრირების ფუნქციას ასრულებს. სასამართლო პალატაში მოსამართლეები, ხოლო პროკურატურის პალატაში – პროკურორები არიან წარმოდგენილნი.

მართლმსაჯულების საბჭოების წევრთა რაოდენობა განსხვავდება ქვეყნების მიხედვით, რაც დამოკიდებულია სასამართლო ხელისუფლების მასშტაბებზე, მართლმსაჯულების საბჭოს ფუნქციებსა და სხვა კონტექსტზე.<sup>29</sup> მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში მართლმსაჯულების საბჭო არა მხოლოდ სასამართლოს, არამედ, იმავდროულად, პროკურატურის მმართველ ორგანოსაც წარმოადგენს. შესაბამისად, ბელგიის მართლმსაჯულების საბჭოში 44 წევრია<sup>30</sup>, იტალიაში – 27, საფრანგეთში – 22, ესპანეთში – 21, რუმინეთში – 19, სლოვაკეთში – 18, უნგრეთში – 15, ხოლო მონტენეგროში – 8 წევრი.

### ბ. მოსამართლე და არამოსამართლე წევრების პროპორცია

სხვადასხვა ევროპულ ქვეყანაში მართლმსაჯულების საბჭოს მოსამართლე წევრები ან უმრავლესობას შეადგენენ (სლოვენია, ესპანეთი, იტალია), ან ნახევარს (მაგ., სლოვაკეთი, ბელგია), ან ნახევარზე ნაკლები რაოდენობით არის წარმოდგენილი (პორტუგალია, საფრანგეთი).

ლიტვაში მართლმსაჯულების საბჭო მხოლოდ მოსამართლეებისგან შედგება. მის შემაღვენლობაში შედის მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეული 20 წევრი და 3 ექს ოფიცო წევრი (უზენაესი, სააპელაციო და ადმინისტრაციული სასამართლოს თავმჯდომარეები).

### გ. საბჭოს თავმჯდომარე

სლოვენიაში საბჭოს თავმჯდომარეს ირჩევს მართლმსაჯულების საბჭო. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგ., იტალიაში, საბჭოს რესპუბლიკის პრეზიდენტი თავმჯდომარეობს. პორტუგალიაში იუსტიციის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარეობას უწევს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. საბჭოს თავმჯდომარის შერჩევის საინტერესო წესი აქვს უნგრეთს, სადაც თავმჯდომარე შეირჩევა მოსამართლე წევრების როტაციით და ხორციელდება ყოველ 6 თვეში ერთხელ<sup>31</sup>. საბჭოს თავმჯდომარეების მოსამართლე და არამოსამართლე წევრების როტაცია ხორციელდება ბელგიაში<sup>32</sup>.

28 ვიკიპედია, Conseil supérieur de la magistrature (France)

[https://fr.wikipedia.org/wiki/Conseil\\_sup%C3%A9rieur\\_de\\_la\\_magistrature\\_\(France\)](https://fr.wikipedia.org/wiki/Conseil_sup%C3%A9rieur_de_la_magistrature_(France))

29 ევროპის მართლმსაჯულების საბჭოების ქსელის ვებგვერდი, [https://www.ency.eu/images/stories/pdf/factsheets/hrj\\_csj\\_belgium.pdf](https://www.ency.eu/images/stories/pdf/factsheets/hrj_csj_belgium.pdf)

30 ბუნებრივია საბჭოს წევრების რაოდენობა იზრდება იმ ქვეყნებში სადაც პროკურატურა არის სასამართლო სისტემის შემაღვენელი ნაწილი.

31 ევროპის მართლმსაჯულების საბჭოების ქსელის ვებგვერდი, [https://www.ency.eu/images/stories/pdf/factsheets/obt\\_hungary.pdf](https://www.ency.eu/images/stories/pdf/factsheets/obt_hungary.pdf)

32 ევროპის მართლმსაჯულების საბჭოების ქსელის ვებგვერდი, [https://www.ency.eu/images/stories/pdf/factsheets/hrj\\_csj\\_belgium.pdf](https://www.ency.eu/images/stories/pdf/factsheets/hrj_csj_belgium.pdf)



#### დ. უფლებამოსილების ვადები.

სხვადასხვა საბჭოს უფლებამოსილების ვადები განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით, მაგალითად, უნგრეთსა და რუმინეთში უფლებამოსილების ვადა 6 წლით, ბულგარეთში 5 წლით, საფრანგეთში კი 4 წლით განისაზღვრება.<sup>33</sup>

საინტერესოა წესი აქვს პორტუგალიას, სადაც საბჭოს წევრები მათი დამნიშნავი ორგანოს უფლებამოსილების ვადით არიან წარმოდგენილნი (შესაბამისად, პრეზიდენტის მიერ დანიშნული წევრები 5 წლით, ხოლო პარლამენტის მიერ დანიშნული წევრები – 4 წლის ვადით აირჩევიან)<sup>34</sup>.

#### ე. წევრის ხელახლა არჩევა

მრავალ ქვეყანაში საბჭოს წევრის ხელახალი არჩევა შეზღუდულია. მაგ., იტალიასა და ბულგარეთში საბჭოს წევრს არ აქვს უფლება ზედიზედ ორი ვადით იყოს არჩეული<sup>35</sup>.

სლოვაკეთსა და ლატვიაში შეიძლება წევრი აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ<sup>36</sup>.

#### ვ. მოსამართლე წევრების შერჩევის წესი

უნგრეთში მოსამართლე წევრების შერჩევა ხდება მოსამართლეთა კონფერენციის მიერ, ფარული კენჭისყრით, ხმათა უბრალო უმრავლესობით<sup>37</sup>.

ზოგიერთ ქვეყანაში (მაგ., უნგრეთი) დადგენილია კვოტები სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეებისთვის.

#### ზ. ფუნქციები

**შედარებითი მიმოხილვის თვალსაზრისით, ერთმანეთისგან განსხვავდება მართლმსაჯულების საბჭოების შემდეგი ფუნქციები:**

##### ■ მოსამართლეთა კარიერა

აღნიშნულ ფუნქციაში მოიაზრება მოსამართლეთა დანიშვნა – გათავისუფლება (ბულგარეთი, ესპანეთი), დაწინაურება (ბულგარეთი, ესპანეთი), გადაყვანა (ბულგარეთი, ესპანეთი, ლატვია).

ზოგიერთ ქვეყანაში მართლმსაჯულების საბჭო თავად არ იღებს გადაწყვეტილებას მოსამართლის დანიშვნის თაობაზე, არამედ რეკომენდაციას აძლევს დამნიშნავ ორგანოს (მაგ., პრეზიდენტს – ლიტვა, სლოვაკეთი).

##### ■ ტრენინგი

ამ კუთხით მართლმსაჯულების საბჭოს ფუნქციები სხვადასხვა სახისაა. ეს შეიძლება იყოს მაგ., ტრენინგის სახელმძღვანელოების დამტკიცება (ბელგია<sup>38</sup>), ტრენინგების ადმინისტრირება (ლიტვა),

33 ევროპის მართლმსაჯულების საბჭოების ქსელის ვებგვერდი, [https://www.encj.eu/images/stories/pdf/factsheets/bcc\\_vss\\_bulgaria.pdf](https://www.encj.eu/images/stories/pdf/factsheets/bcc_vss_bulgaria.pdf)

34 ევროპის მართლმსაჯულების საბჭოების ქსელის ვებგვერდი, [https://www.encj.eu/images/stories/pdf/factsheets/csm\\_portugal.pdf](https://www.encj.eu/images/stories/pdf/factsheets/csm_portugal.pdf)

35 ვიკიპედია, Consiglio Superiore Della Magistratura, [https://it.wikipedia.org/wiki/Consiglio\\_superiore\\_della\\_magistratura](https://it.wikipedia.org/wiki/Consiglio_superiore_della_magistratura)

36 ევროპის მართლმსაჯულების საბჭოების ქსელის ვებგვერდი, [https://www.encj.eu/images/stories/pdf/factsheets/tp\\_latvia.pdf](https://www.encj.eu/images/stories/pdf/factsheets/tp_latvia.pdf)

37 ევროპის მართლმსაჯულების საბჭოების ქსელის ვებგვერდი, [https://www.encj.eu/images/stories/pdf/factsheets/obt\\_hungary.pdf](https://www.encj.eu/images/stories/pdf/factsheets/obt_hungary.pdf)

38 ევროპის მართლმსაჯულების საბჭოების ქსელის ვებგვერდი, [https://www.encj.eu/images/stories/pdf/factsheets/hrj\\_csj\\_belgium.pdf](https://www.encj.eu/images/stories/pdf/factsheets/hrj_csj_belgium.pdf)

იუსტიციის სკოლის ფორმირებაში მონაწილეობის მიღება (ბულგარეთი, სლოვაკეთი), მოსამართლეთა სკოლის სასწავლო პროგრამის დამტკიცება (რუმინეთი, სლოვაკეთი);  
ზოგიერთ ქვეყანაში მართლმსაჯულების საბჭოს ტრენინგთან დაკავშირებული რაიმე კომპეტენცია არ გააჩნია (საფრანგეთი, სლოვენია).

#### **■ სამოსამართლო ეთიკა**

ეს შეიძლება იყოს: სამოსამართლო ეთიკის წესების დამტკიცება (ბელგია, უნგრეთი), კონსულტაციების გაცემა სამოსამართლო ეთიკის საკითხებზე (სლოვენია).

#### **■ დისციპლინა**

ეს შეიძლება იყოს დისციპლინური გამოძიების დაწყება (სლოვენია), საქმის არსებითი განხილვა (ბულგარეთი, რუმინეთი, იტალია), დისციპლინური ორგანოების წევრების დანიშვნა (ლიტვა, სლოვაკეთი),

ზოგიერთ ქვეყანაში იუსტიციის საბჭოს საერთოდ არ აქვს დისციპლინური უფლებამოსილებები. მაგალითად ლატვიაში დისციპლინურ საქმეებს აწარმოებს დისციპლინური კომიტეტი და დისციპლინური სასამართლო<sup>39</sup>.

#### **■ სასამართლოს თავმჯდომარეების დანიშვნა (სლოვენია)**

#### **■ მოსამართლეთა უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით საჩივრების მიღება (სლოვენია)**

#### **■ საკანონმდებლო საქმიანობა**

ეს შეიძლება იყოს სასამართლოსთან დაკავშირებულ კანონპროექტებზე წინადადებების შემუშავება (ბელგია<sup>40</sup>), მოსაზრებების წარდგენა (ლატვია).

#### **■ საჩივრების მიღება**

ეს შეიძლება იყოს სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებით საჩივრების მიღება და მათი გამოძიება (ბელგია<sup>41</sup>)

#### **■ ზედამხედველობა მოსამართლეთა ქონებრივ დეკლარაციებზე (უნგრეთი)**

#### **■ სამოსამართლო იმუნიტეტი**

ნებართვის გაცემა მაგისტრატის დაკავებაზე, ჩხრეკაზე (რუმინეთი).

#### **■ ხელისუფლების სხვა ორგანოებთან ურთიერთობა (ლიეტუვა)**

### **თ. მართლმსაჯულების საბჭოს გადაწყვეტილებების გასაჩივრება**

ესპანეთში მართლმსაჯულების საბჭოს გადაწყვეტილებები საჩივრდება უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ პალატაში.

ზოგიერთ ქვეყანაში მართლმსაჯულების საბჭოს გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება (ბელგია, ლატვია, სლოვაკეთი);

ზოგ ქვეყანაში საბჭოს გადაწყვეტილებების მხოლოდ ნაწილი საჩივრდება მაგ., პორტუგალიასა და რუმინეთში დასაშვებია მხოლოდ საბჭოს საკადრო და დისციპლინური გადაწყვეტილებების გასაჩივრება.<sup>42</sup>

39 ევროპის მართლმსაჯულების საბჭოების ქსელის ვებგვერდი, [https://www.encj.eu/images/stories/pdf/factsheets/tp\\_latvia.pdf](https://www.encj.eu/images/stories/pdf/factsheets/tp_latvia.pdf)

40 ევროპის მართლმსაჯულების საბჭოების ქსელის ვებგვერდი, [https://www.encj.eu/images/stories/pdf/factsheets/hrj\\_csj\\_belgium.pdf](https://www.encj.eu/images/stories/pdf/factsheets/hrj_csj_belgium.pdf)

41 ევროპის მართლმსაჯულების საბჭოების ქსელის ვებგვერდი, [https://www.encj.eu/images/stories/pdf/factsheets/hrj\\_csj\\_belgium.pdf](https://www.encj.eu/images/stories/pdf/factsheets/hrj_csj_belgium.pdf)

42 ევროპის მართლმსაჯულების საბჭოების ქსელის ვებგვერდი, [https://www.encj.eu/images/stories/pdf/factsheets/csm\\_portugal.pdf](https://www.encj.eu/images/stories/pdf/factsheets/csm_portugal.pdf)

## 4. ცალკეული ევროპული ქვეყნის გამოცდილება არამოსამართლე წევრების მონაწილეობის თვალსაზრისით

დეტალური ინფორმაცია ევროპული ქვეყნებში არამოსამართლე წევრების წარდგენისა და არჩევის წესებზე, მათ უფლებამოსილებსა და ფუნქციებზე მოცემულია ENCJ-ის 2015-2016 წლების ანგარიშის დანართში: *არამოსამართლე წევრების მონაწილეობა სასამართლო მართვაში, კითხვარი პასუხებით*. წინამდებარე დოკუმენტის მიზნებისთვის, მხოლოდ ის ქვეყნებია მიმოხილული, რომელთა საბჭოს ფუნქციები საქართველოში მოქმედი სისტემის მსგავსია, ასევე არამოსამართლე წევრებთან მიმართებით დადგენილი რეგულირება, როგორც ანგარიშგასაწევი ფაქტორი, მითითებულია ვენეციის კომისიის მოსაზრებაში No. 976 / 2019<sup>43</sup>

### ა. ბელგია

ბელგიის საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს მოსამართლეთა დანიშვნასა და სხვა საკითხებზე, თუმცა მას არ გააჩნია მოსამართლეთა დისციპლინირების უფლებამოსილება და ფლობს მხოლოდ საგამოძიებო უფლებამოსილებას. ბელგიის საბჭოში თანაბრადაა წარმოდგენილი მოსამართლე 22 წევრი და არამოსამართლე – 22 წევრი.

არამოსამართლე წევრებს ირჩევს სენატი ხმათა 2/3-ით. 22 წევრი დაყოფილია 11 ჰოლანდიურ და 11 – ფრანგულად მოსაუბრე წევრებად. თითოეულ ჯგუფში უნდა იყოს 4 ადვოკატთა ასოციაციის წევრი არანაკლებ 10-წლიანი სტაჟით, 3 უმაღლესი დაწესებულების პროფესორი და 4 წევრი უმაღლესი განათლებით და არანაკლებ 10 წლის გამოცდილებით შესაბამის პროფესიაში. კანდიდატები შეუძლიათ წარმოადგინონ ადვოკატთა ასოციაციებმა და უნივერსიტეტებმა. თითოეულ ლინგვისტურ ჯგუფში სულ ცოტა 5 წევრი უნდა დაინიშნოს ამ პირთა მიერ წარმოდგენილი კანდიდატებიდან, რაც ერთობლივად შეადგენს 10 წევრს.

არ არსებობს ფუნქციური განსხვავება მოსამართლე და არამოსამართლე წევრებს შორის. საბჭოს ხელმძღვანელობს ბიურო, რომელიც შედგება 2 მოსამართლე და 2 არამოსამართლე წევრისგან, თითოეული ლინგვისტური ჯგუფიდან, რომლებიც როტაციის წესით თავმჯდომარეობენ საბჭოს თითო წლის განმავლობაში. დამატებით, თითოეული მათგანი ხელმძღვანელობს ნომინაციისა და დანიშვნების კომიტეტს ან სარეკომენდაციო და საგამოძიებო კომიტეტს. ბიუროს წევრები მუშაობენ სრული სამუშაო დროის განმავლობაში.

საბჭოს ყველა ორგანო თანაბარი რაოდენობით იყოფა მოსამართლე და არამოსამართლე წევრებისგან. როგორც წესი, გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე წევრთა უმრავლესობით, თუმცა მოსამართლის დასანიშნად საჭიროა 14 წევრიდან 10-ის დასწრება, ხოლო გადაწყვეტილების მიღება ხდება 2/3 უმრავლესობით.

### ბ. სერბეთი

სერბეთში იუსტიციის უმაღლესი საბჭო შედგება კასაციის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისგან, იუსტიციის მინისტრისა და ეროვნული კრების (პარლამენტი) მართლმსაჯულების კომიტეტის თავმჯდომარისგან, როგორც *ex officio* წევრებისგან, ასევე ეროვნული კრების მიერ არჩეული 8 წევრისგან, საიდანაც 6 წარმოადგენს მოსამართლეს, ხოლო 2 წარმოადგენს არანაკლებ 15 წლის პროფესიული გამოცდილების მქონე პრაქტიკოს ადვოკატს და იურიდიული ფაკულტეტის პროფესორს. არამოსამართლე წევრები საბჭოს წევრის უფლებამოსილების განხორციელების

43 ვენეციის კომისიის და DHR ერთობლივი გადაუდებელი ერთობლივი მოსაზრება No. 976 / 2019, 19.06.2020

ვის იღებენ დამატებით ანაზღაურებას. პროფესიაში მუშაობის გაგრძელება არამოსამართლე წევრებს არ ეკრძალებათ.

საბჭოში ადვოკატის ნომინირებას აკეთებს სერბეთის ადვოკატთა ასოციაცია<sup>44</sup>. ადვოკატთა ასოციაცია საბჭოს წევრის ნომინირებისას უზრუნველყოფს ადვოკატების ფართო მონაწილეობას. აღნიშნული პროცედურა: ვადები, კანდიდატის წარდგენა, არჩევა და ნომინირება დადგენილია ადვოკატთა ასოციაციის აქტით. შესაძლებელია ერთზე მეტი კანდიდატის ნომინირება.

საბჭოს წევრად პროფესორს ირჩევენ ქვეყნის იურიდიული ფაკულტეტების დეკანები ერთობლივ სხდომაზე.<sup>45</sup> დეკანების ერთობლივ სხდომას იწვევს და კრებას თავმჯდომარეობს ქვეყანაში უძველესი იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, რომელიც ასევე წარუდგენს არჩეულ კანდიდატურას ეროვნულ კრებას.

საბჭოში ყველა წევრს აქვს თანაბარი უფლებამოსილება, თუმცა საბჭოს თავმჯდომარე არის კასაციის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. მოსამართლე თავმჯდომარეობს ასევე საკვალიფიკაციო კომისიას.

### გ. სლოვენია

იუსტიციის საბჭო შედგება 11 წევრისგან, რომელთაგან 6 მოსამართლეა, ხოლო 5 წევრს, ქვეყნის პრეზიდენტის ნომინაციით, ირჩევს ეროვნული ასამბლეა – იურიდიული ფაკულტეტის პროფესორთა, ადვოკატთა და სხვა იურისტთა შორის. იურისტები შეიძლება იყვნენ როგორც ნოტარიუსები, ასევე საწარმოების იურისტები.

პრეზიდენტი საბჭოს წევრების წარდგენას აკეთებს იმ განაცხადებზე დაყრდნობით, რომელსაც ის იღებს იურიდიული ფაკულტეტებიდან, სლოვენიის ადვოკატთა ასოციაციიდან, ნოტარიუსთა ასოციაციიდან და ბიზნეს იურისტთა ასოციაციიდან. პროფესიაში მუშაობა არამოსამართლე წევრებს არ ეკრძალებათ.

საბჭო თავმჯდომარეს ირჩევს მათი წევრებისგან. თავმჯდომარედ შეიძლება არამოსამართლე წევრიც აირჩიონ და, პრაქტიკაშიც, ორჯერ, საბჭოს თავმჯდომარე იყო სამართლის პროფესორი.

საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უმრავლესობით, თუმცა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღება 2/3-ით, ესენია: ეროვნული ასამბლეისთვის პირის ნომინაცია და უკვე არჩეული მოსამართლის სხვა პოზიციაზე გადანიშვნა.

44 საფრანგეთში ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელს Conseil supérieur de la magistrature ირჩევს ეროვნული ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტი.

45 საბჭოში აკადემიის წარმომადგენლის არჩევის მსგავსი წესი აქვს ხორვატიასაც, სადაც ყოველი იურიდიული ფაკულტეტი წარმოდგენილია 4 სრული პროფესორით, რომლებიც ირჩევენ 2 პროფესორს იუსტიციის საბჭოში.

## 5. იუსტიციის უმაღლეს საბჭოს შერჩევასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული პრობლემები საქართველოში

მიუხედავად იმისა, რომ 2007-2012 წლებში იუსტიციის უმაღლეს საბჭოში უმრავლესობას მოსამართლეები წარმოადგენდნენ, 2012 წლამდე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო აღიქმებოდა არა როგორც სასამართლოს დამოუკიდებლობის გარანტი, არამედ მოსამართლეებზე ზეწოლის და მათი დაშინების მექანიზმი. იუსტიციის მინისტრი, რომელიც 2007 წლიდან გამოყვანილი იქნა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობიდან, არაფორმალურად მონაწილეობდა სასამართლო სისტემის მართვაში, ყველა საკვანძო გადაწყვეტილება იუსტიციის მინისტრთან იყო შეთანხმებული<sup>46</sup>. სწორედ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მეშვეობით ხდებოდა პოლიტიკურად მორჩილი მოსამართლეების დასჯა და მორჩილი მოსამართლეების წახალისება. როგორც იუსტიციის უმაღლეს საბჭო, ასევე, საკვანძო ადმინისტრაციული თანამდებობები, თავმოყრილი იყო მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფების ხელში, რომელთა მეშვეობით ხორციელდებოდა პოლიტიკური კონტროლი სასამართლოზე.<sup>47</sup>

2013 წლის რეფორმის შედეგად, მართალია, მოსამართლეებს მიეცათ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების თავისუფალი და ფარული კენჭისყრით არჩევის შესაძლებლობა, მაგრამ, რიგი მიზეზების გამო<sup>48</sup>, მათ საბჭოს წევრებად კვლავ ძველი ელიტის (კლანის) წარმომადგენლები აირჩიეს. 2013-15 წლებში შეიმჩნეოდა გარკვეული დაპირისპირება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე და არამოსამართლე წევრებს შორის. ხშირად გადაწყვეტილებები ვერ მიიღებოდა, საჭირო ხმათა არასაკმარისობის გამო.

2015 წლიდან შეიმჩნევა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე და არამოსამართლე წევრთა შორის პოზიციათა დაახლოება, რომლის უკანაც დგას სავარაუდო პოლიტიკური გარიგება, რომელიც ქართულ ოცნებასა და მოსამართლეთა გავლენიან ჯგუფს (კლანს შორის შედგა<sup>49</sup>.

46 იხ. წიქარიშვილი კ. კლანური მმართველობა სასამართლოში 2007 წლიდან დღემდე, <https://dfwatch.net/%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90-53161>

47 იხ. წიქარიშვილი კ. კლანური მმართველობა სასამართლოში 2007 წლიდან დღემდე, <https://dfwatch.net/%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90-53161>

48 2012 წლამდე მოსამართლეები იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, ტრადიციულად, რეპრესიულ მანქანად აღიქვავდნენ, ამიტომ ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მოსამართლეთა კორპუსმა აირჩია ის კოლეგები, რომლებსაც არ ჰქონდათ მორალური უფლება დაესაჯათ მოსამართლეები წარსული შეცდომების გამო; მეორე მხრივ, „კლანის“ წევრები, მათი მხარდაჭერის შემთხვევაში, მოსამართლეებს ჰპირდებოდნენ ხელშეუხებლობას, უვადო გადანიშვნას და სხვა პრივილეგიებს (იხ დროს, როცა სამოქალაქო საზოგადოება, პოლიტიკური პარტიები და, მათ შორის, ხელისუფლებაც, მოსამართლეებს ემუქრებოდა და ემუქრება დაჭერით, დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემით, წარსულში განხილული საქმეების გახსენებით და ა.შ.). იხ. წიქარიშვილი კ. კლანური მმართველობა სასამართლოში 2007 წლიდან დღემდე, <https://dfwatch.net/%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90-53161>

49 იხ. წიქარიშვილი კ. კლანური მმართველობა სასამართლოში 2007 წლიდან დღემდე, <https://dfwatch.net/%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90-53161>

იუსტიციის უმაღლესი საბჭო 2013-2021 წლებში რეპრესიული მექანიზმიდან კორპორაციული თავდაცვის მექანიზმად იქცა, რომელიც კვლავ მოექცა მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის, ე.წ. კლანის ხელში. აღნიშნულზე დისციპლინური სტატისტიკაც მეტყველებს: თუ 2004-2012 წლებში 209 მოსამართლე დაისაჯა დისციპლინური წესით, რომელთაგან 39 გათავისუფლდა, 2012 წლის შემდეგ მხოლოდ 10 მოსამართლე იქნა დასჯილი დისციპლინური წესით, რომელთაც დაეკისრათ მსუბუქი დისციპლინური სანქციები.

მოსამართლეთა გავლენიანმა ჯგუფმა გამარჯვება მოიპოვეს მოსამართლეთა კონფერენციის ყველა არჩევნებზე (2013, 2017, 2021 წლები). ამასთან, თუ 2021 წლამდე, ფორმალურად მაინც არსებობდა კანდიდატთა შორის კონკურენცია, 2021 წელს ეს კონკურენციაც გაქრა: მოსამართლეთა კონფერენციამ ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით (291 დამსწრე მოსამართლიდან 275-281 ხმა) ოთხ ვაკანტურ ადგილზე აირჩია ოთხი კანდიდატი, რომელთაც კონკურენტი არ ჰყოლიათ<sup>50</sup>.

ცალკე აღნიშვნის ღირსია სასამართლოს თავმჯდომარეების არსებობა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში. მაშინ, როცა 2013 წლის საკანონმდებლო ცვლილებებით, სასამართლოს თავმჯდომარეები გამოიყვანეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან, 2017 წლის საკანონმდებლო ცვლილებებით – კვლავ მოხდა მათი ინტეგრირება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, რაც მმართველ პარტიასა და მოსამართლეთა კლანს შორის არსებულ გარიგებაზე კიდევ ერთხელ მეტყველებს<sup>51</sup>.

საქართველოში 2013 წლამდე იუსტიციის საბჭოში 6 არამოსამართლე წევრს წარმოადგენდნენ პარლამენტის მიერ არჩეული 3 პარლამენტარი, ხოლო პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე – *ex officio* შედიოდა საბჭოში. საბჭოში 2 წევრს წარადგენდა საქართველოს პრეზიდენტი.<sup>52</sup> 2013 წელს განხორციელებული ცვლილებებით,<sup>53</sup> პარლამენტარები ჩანაცვლდნენ პარლამენტის მიერ პროფესორებისგან, ადვოკატებისგან და სასამართლოში უფლებების დაცვით დაკავებული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან არჩეული პირებით. თავიდან კანონში განსაზღვრული იყო 6 წევრის არჩევა პარლამენტის მიერ, თუმცა კანონი მალევე იქნა მოყვანილი შესაბამისობაში კონსტიტუციასთან, რომელიც საქართველოს პრეზიდენტს აძლევდა საბჭოში ერთი წევრის დანიშვნის უფლებამოსილებას, შესაბამისად, პარლამენტის კვოტა განისაზღვრა 5 წევრით.

კანონი თითოეულ ორგანიზაციას აძლევდა არაუმეტეს 3 კანდიდატის წარდგენის უფლებას, ხოლო წევრთა არჩევა უნდა მომხდარიყო 2/3 ხმით, თუმცა, თუ კანდიდატები ვერ მიიღებდნენ ხმათა 2/3-ს, შესაძლებელი იყო საბჭოში პარლამენტის მიერ დასანიშნი 5 წევრიდან 4 წევრის დანიშვნა უბრალო უმრავლესობით<sup>54</sup>. ვენეციის კომისიის No. 701/2012 მოსაზრება, შეიცავდა რეკომენდაციას, რომ არამოსამართლე წევრები პარლამენტს აერჩია 2/3 უმრავლესობით, თუმცა შემოთავაზებული უნდა ყოფილიყო ჩიხური მდგომარეობის გამორიცხვის მექანიზმი ან სხვა პროპორციული მეთოდი, რაც უზრუნველყოფდა ოპოზიციის გავლენას საბჭოში წევრთა არჩევაზე. ამასთანავე ჩიხური მდგომარეობის თავიდან არიდების მექანიზმი არ უნდა ყოფილიყო 2/3 ხმათა მონაწილეობაზე დაფუძნებული შეთანხმების მიღწევის მცდელობის გვერდის ავლის საშუალება.<sup>55</sup>

როგორც ჩანს, პარლამენტმა არ გაითვალისწინა ვენეციის კომისიის ზემოაღნიშნული რეკომენდაცია და ჩიხური მდგომარეობის გამორიცხვის საშუალებად, მხოლოდ კვალიფიციური უმრავლესობის პრინციპიდან უბრალო უმრავლესობის პრინციპზე გადასვლა მიიჩნია სასურველად. შედეგად, მმართველმა პარტიამ 4 არამოსამართლე წევრი დანიშნა ოპოზიციის თანხმობის გარე-

50 <https://1tv.ge/news/mosamartleta-konferenciam-iusticiis-umaghlesi-sabchos-otkhi-mosamartle-wevri-airchia/>

51 იხ. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ანგარიში, მართლმსაჯულების რეფორმა საქართველოში 2013-2021 წლებში, <https://gylla.ge/files/news/%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%98/2021/GetFileAttachment-4.pdf>

52 ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ, მუხ. 47.4

53 2013 წლის 1 მაისის ორგანული კანონი № 5 80

54 ცვლილება კანონში 01.05.2013 პარ. 4

55 ვენეციის კომისიის No. 701 / 2012 მოსაზრება, 11.03.2013 პარ. 52-53



შე, ხოლო 1 წევრი ვაკანტური იყო 4 წლის განმავლობაში, სანამ 2017 წელს კანონში ისევ შევიდა ცვლილება<sup>56</sup> და არამოსამართლე ყველა წევრის არჩევის კვოტა 2/3-დან უბრალო უმრავლესობაზე ჩამოვიდა. შედეგად, მმართველმა პარტიამ სრულად დააკომპლექტა საბჭოს შემადგენლობა ოპოზიციური პარტიების ჩართულობის გარეშე, ვენეციის კომისიის მოსაზრების საწინააღმდეგოდ.

მხოლოდ 2018 წელს კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიღებასთან დაკავშირებით, კვლავ შეიცვალა კანონის 47-ე მუხლის რედაქცია და არამოსამართლე წევრთა ასარჩევად განისაზღვრა 3/5 უმრავლესობა, რაც კვლავ ნაკლებია, ვიდრე ვენეციის No. 701/2012 მოსაზრებაში გათვალისწინებული 2/3, თუმცა, მანამდე არსებულ რეგულირებასთან შედარებით, ოპოზიციის პროცესში ჩასართავად – პოზიტიური ინიციატივაა.

სამოქალაქო საზოგადოებაში და პროფესიულ წრეებში გამოითქვა არაერთი კრიტიკული განცხადება არამოსამართლე წევრების არჩევის წესთან და მათ დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით. ეს მნიშვნელოვნად არის გამოწვეული 2013 წლის ვენეციის კომისიის რეკომენდაციის გაუთვალისწინებლობით, რის შედეგად, არამოსამართლე წევრებს მმართველი ძალა ნიშნავდა ოპოზიციასთან შეთანხმების გარეშე. მართალია, საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონი ითვალისწინებდა მათი არაპოლიტიკური სუბიექტების მიერ წარდგენას, თუმცა, თავად წარმდგენი სუბიექტების ხელისუფლებისგან დამოუკიდებლობა კითხვებს ბადებდა. გასათვალისწინებელია ის არაფორმალური გარიგება, რომელიც სასამართლოში გაბატონებულ კლანსა და მმართველ პარტიას შორის არსებობს, რაც აშკარად ჩანს იუსტიციის საბჭოს მრავალ გადაწყვეტილებაში.<sup>57</sup>

#### ა. დამოუკიდებლობის ნაკლებობა

ჯერ კიდევ 2015 წელს, როდესაც არამოსამართლე წევრების: ევა გოცირიძის, ვახტანგ თორდიასა და კახა სოფრომაძის ხმები გადაწყვეტი აღმოჩნდა ევროსასამართლოს მწვავე კრიტიკის ერთ-ერთი სუბიექტის – ლევან მურუსიძის მოსამართლედ დასანიშნად, მათ გაავრცელეს განცხადება, სადაც ახსნეს თავიანთი გადაწყვეტილების მიზეზი. ერთ-ერთი არგუმენტი იყო მოსამართლე და არამოსამართლე წევრებს შორის გარკვეული გარიგება, რომლის შედეგად მოხდა როგორც მოსამართლე წევრების, ასევე არამოსამართლე წევრთა მიერ მხარდაჭერილი კანდიდატების დანიშვნა.<sup>58</sup> არამოსამართლე წევრებმა აღიარეს, რომ ისინი გადაწყვეტილებებს კონკრეტული კანდიდატის კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმით კი არ იღებდნენ, არამედ სხვა, კანონით გაუთვალისწინებელი მოსაზრებებით. როგორც კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის შემუშავებულ დოკუმენტში „სასამართლო სისტემა რეფორმები და პერსპექტივები“ არის აღნიშნული, წინამდებარე განცხადებამ დაადასტურა ეჭვები, რომ საბჭო მოსამართლეთა დანიშვნისას არ ხელმძღვანელობდა კანონით განსაზღვრული კრიტერიუმებით, არამედ გადაწყვეტილება მიიღებოდა საბჭოს წევრთა შორის ფარული გარიგებების საფუძველზე.<sup>59</sup>

2017 წელს გამოქვეყნებულ საიას და საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს ანგარიშში ნეგატიურად შეფასდა, რომ მოსამართლე წევრები, რომლებიც ყველა საკითხზე, როგორც წესი, ერთგვაროვან პოზიციებს აფიქსირებდნენ, ყოველთვის ახერხებდნენ არამოსამართლე წევრების საჭირო რაოდენობის მხარდაჭერის მოპოვებას, ხოლო განსხვავებული აზრი მხოლოდ ერთსა და იმავე არამოსამართლე წევრის და, ზოგიერთ შემთხვევაში, საბჭოს თავმჯდომარის მხრიდან ისმოდა.<sup>60</sup>

56 ცვლილება კანონში 13.02.2017, პარ. 24.ბ)

57 აღნიშნული არ წარმოადგენს ამ თავის კვლევის საგანს, და ამიტომ დეტალურად არ შევხებით.

58 „იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრების განცხადება. 25.12.2015

59 „სასამართლო სისტემა რეფორმები და პერსპექტივები“ 2017. გვ. 15 ხელმისაწვდომია [http://www.coalition.ge/index.php?article\\_id=150&clang=0](http://www.coalition.ge/index.php?article_id=150&clang=0)

60 იუსტიციის საბჭოს მონიტორინგის ანგარიში #6, გვ 6, ხელმისაწვდომია <http://ewmi-prolog.org/ka/publications/613-iusticiis-umaghlesi-sabtshos-monitoringis>

ანგარიშის ავტორების აზრით, ახალარჩეულმა წევრთა უმრავლესობამ სათანადო პრინციპულობა და ინდივიდუალური ხედვები ვერ გამოავლინა.<sup>61</sup> იგივე მოსაზრებაა დაფიქსირებული ზემოაღნიშნულ დოკუმენტში „სასამართლო სისტემა რეფორმები და პერსპექტივები“, რომლის თანახმადაც, 2015 წლიდან მიღწეული პლურალიზმი თანდათან შეიცვალა და ცალკეული არამოსამართლე წევრების პოზიციები სულ უფრო ხშირად ეთანხმებოდა მოსამართლე წევრები პოზიციებს. დოკუმენტში გამოთქმულია ეჭვი, რომ გადაწყვეტილებების მიღება ხდებოდა წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, რადგან მათ წინ უსწრებდა საბჭოს წევრების კონსულტაციები დახურულ ფორმატში.<sup>62</sup> შესაბამისად, სავარაუდოა, რომ არამოსამართლე წევრთა ნაწილი მონაწილეობდა ამგვარ დახურულ კონსულტაციებში.

ერთი არამოსამართლე წევრის აშკარა შეთანხმება მოსამართლე წევრთა ჰომოგენურ ჯგუფთან გამოკვეთა სახალხო დამცველმა სპეციალურ ანგარიშში, სადაც აღნიშნა, რომ „შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის პროცესში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10 წევრი (მათ შორის, საბჭოს ყველა მოსამართლე წევრი) მოქმედებდა ერთიანი დღის წესრიგით და კოორდინირებულად.“<sup>63</sup>

არამოსამართლე წევრებთან ნაწილი ასევე დაეთანხმა მოსამართლე წევრთა ჰომოგენურ ჯგუფს, როდესაც ყოველგვარი კონკურსის, ან რაიმე სახის განხილვის გარეშე, 2018 წლის დეკემბერში საბჭომ გადააგზავნა პარლამენტში 10-კაციანი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კანდიდატთა სია, რაც კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ შეაფასა როგორც სახალხო დამცველმა, ისე არასამთავრობო ორგანიზაციებმა. ცხადია, ამ შემთხვევაშიც, არამოსამართლე წევრთა ნაწილი მოქმედებდა კლანთან შეთანხმებით.

## **ბ. არაგამჭირვალე პროცესით შერჩევა და მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემოწმებლობა**

უარყოფითად ფასდება არამოსამართლე წევრების შერჩევის პროცედურაც ბოლო 9 წლის განმავლობაში. 2017 წლის 21 ივნისს პარლამენტის მიერ არჩეული არამოსამართლე წევრებისთვის კითხვების დასმის შესაძლებლობის მიუხედავად დახურულ პროცესად შეფასდა. ხოლო 5-წუთიანი მოხსენების გაკეთება შეფასებულია როგორც – ფორმალური პროცესი.<sup>64</sup> ანგარიშში გაკრიტიკებულია ასევე 2017 წლის მაისში დამტკიცებული პირი – შოთა ქადაგიძე, რომლის თაობაზე საჯარო დისკუსია არ გამართულა და დეპუტატებს კითხვები არ დაუსვამთ, ხოლო საზოგადოებისთვის არაფერი იყო ცნობილი მისი გამოცდილების შესახებ.<sup>65</sup>

ნათელია, რომ არამოსამართლე წევრთა არჩევის გამჭირვალეობის ხარისხი არ გაუმჯობესებულა 2013 წლიდან, როდესაც პროცესი ასევე უარყოფითად იყო შეფასებული. 2013 წელს დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა პარლამენტს მიმართეს თხოვნით – ჩატარებულიყო საჯარო გასაუბრება კანდიდატებთან. თუმცა გასაუბრება ჩატარდა დახურულ კარს მიღმა და საზოგადოებას არ მიეცა საშუალება, პროცესისთვის თვალი ედევნებინა<sup>66</sup>

ხშირ შემთხვევაში, კანონით დადგენილი აუცილებელი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გადამოწმებას პარლამენტი არ ახორციელებს, ან არაჯეროვნად ახორციელებს.

61 იქვე. გვ. 6

62 „სასამართლო სისტემა რეფორმები და პერსპექტივები“ 2017. გვ. 12 ხელმისაწვდომია [http://www.coalition.ge/index.php?article\\_id=150&clang=0](http://www.coalition.ge/index.php?article_id=150&clang=0)

63 საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ შერჩევის მონიტორინგის ანგარიში, 2019 წ

64 იქვე, გვ.11; ასევე კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განახლებულ შემადგენლობისადმი მიმართვა – 3.07.2017

65 იქვე. გვ. 11

66 „იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის სამწლიანი შემაჯამებელი ანგარიში 2012-2014“ საია, საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო. 2015



2019 წლის 14 მაისს კოალიციამ დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის საქართველოს პარლამენტს მიმართა მოთხოვნით, შეისწავლოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრის – ზაზა ხარებავას არჩევის კანონიერების საკითხი. კოალიციის განცხადებით, ზაზა ხარებავას არჩევის პროცესში დაირღვა კანონის მოთხოვნები, რამდენადაც მისი კანდიდატურა პარლამენტს არაუფლებამოსილმა სუბიექტმა წარუდგინა. კანონის თანახმად, არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს უფლება აქვს წარადგინოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატი, თუ კონკურსის გამოცხადებამდე ბოლო 2 წლის განმავლობაში მისი საქმიანობის ერთ-ერთი სფერო იყო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება სასამართლოებში განხორციელებულ სამართალწარმოებაში. ზაზა ხარებავას წარმდგენი ორგანიზაცია ამ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს<sup>67</sup>.

საქართველოს პარლამენტს კოალიციის ეს მოთხოვნა დღემდე არ განუხილავს.

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანიზაციის კანონის თანახმად, იუსტიციის საბჭოს წევრად შეიძლება არჩეულ იქნას სამართლის დარგის აღიარებული სპეციალისტი. გაუგებარია, სამართლის რომელი დარგის აღიარებულ სპეციალისტებს წარმოადგენენ მაგ.: შოთა ქადაგიძე, ზაზა ხარებავა, ან ლევან გზირიშვილი, რომლებიც 2017 წელს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებად აირჩიეს. იმავდროულად, 2017 წელს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობისთვის გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობა მიიღეს სამართლის სხვადასხვა დარგის ცნობილმა პროფესორებმა (მაგ.: ირაკლი დვალიძე, შალვა ქურდაძე, პაატა ტურავა<sup>68</sup>), რომლებმაც პარლამენტის მხარდაჭერა ვერ მიიღეს.

2020 წლის ივლისში საქართველოს პრეზიდენტმა გაუმჭვირვალე პროცედურით დანიშნა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი თამარ ღვამიჩავა. მიუხედავად იმისა, რომ გამოცხადებულ კონკურსში 14 კანდიდატი მონაწილეობდა, საზოგადოებისთვის არ ყოფილა ცნობილი არც კანდიდატთა ვინაობა, არც მათი ბიოგრაფიები. მათთან გასაუბრებაც დახურულად წარიმართა.

### გ. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაზე გავლენის არქონა

შემდეგი პრობლემა, რაც გამოიკვეთა, არის მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა გადაწყვეტა მოსამართლეთა ჰომოგენურ ჯგუფს შეუძლია არამოსამართლე წევრთა მონაწილეობის და, ხანდახან, წინასწარი ჯეროვანი ინფორმირების გარეშეც. მაგალითად:

- დამოუკიდებელი ინსპექტორის დანიშვნას ესაჭიროება ხმათა უმრავლესობა, ხოლო გათავისუფლებას – ხმების 2/3. ეს შესაძლებლობას აძლევს მოსამართლე წევრებს თანამდებობაზე გაიყვანონ მათთვის მისაღები წევრი და ერთი არამოსამართლე წევრის მხარდაჭერით, გაათავისუფლონ მაშინვე, როგორც კი ეს უკანასკნელი მათივე კონტროლის მიღმა აღმოჩნდება.<sup>69</sup>
- არამოსამართლე წევრმა გოჩა მამულაშვილმა თავმჯდომარის საკითხზე მსჯელობისას აღნიშნა, რომ ოთხი წლის განმავლობაში არასოდეს უკითხავს არამოსამართლე წევრებისთვის ვინმეს აზრი, არც 2/3 ხმათა რაოდენობა ყოფილა საჭირო თავმჯდომარის ასარჩევად, რადგან მოსამართლე წევრები მოილაპარაკებდნენ და თავად ნიშნავდნენ მათთვის სასურველ კანდიდატს.<sup>70</sup>
- საბჭოს არამოსამართლე წევრებმა ვახტანგ მჭედლიშვილმა და ნაზი ჯანეზაშვილმა რამდენჯერმე განაცხადეს, რომ ორშაბათის სხდომაზე განსახილველი საკითხების შესახებ

67 GDI ს ვებგვერდი, <https://gdi.ge/ge/news/zazakharebava.page>

68 წყარო: <https://ipress.ge/new/iustitsiis-umaghlesi-sabtch-14/>

69 საია და საერთაშორისო გამჭვირვალეობა საქართველო, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში #7 , 2019 , გვ. 10. აქვე აღსანიშნავია, რომ შემდგომი ცვლილებებით, დამოუკიდებელი ინსპექტორის გათავისუფლებისთვის საჭირო ხმები 2/3 ით განისაზღვრა.

70 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში #6 , გვ. 54 ხელმისაწვდომია <http://ewmi-prolog.org/ka/publications/613-iusticiis-umaghlesi-sabtshos-monitoringis>

ინფორმაცია შიდა სისტემაში პარასკევს ან შაბათ-კვირის განმავლობაში იტვირთებოდა, რაც მათ არაგონივრულად მცირე დროს უტოვებდა საკითხის მოსამზადებლად. იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც არამოსამართლე წევრებს სხდომამდე არ ჰქონიათ ინფორმაცია იმ კანდიდატების შესახებ, რომელთა სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშვნის საკითხიც უნდა გადაეწყვიტა საბჭოს; შედეგად, არამოსამართლე წევრები ინფორმირებულნი არ ყოფილან იმ პროექტების დასაბუთების საკითხების ირგვლივ, რომელთა გამოტანაც ხდებოდა საბჭოზე<sup>71</sup>

კანონი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების ხმათა 2/3-ით მიღებას ითვალისწინებს, რის შედეგადაც მოსამართლე წევრებს, რომლებიც, ჰომოგენური ერთობით ხასიათდებიან, 1 არამოსამართლე წევრის ხმა სჭირდებათ ამ გადაწყვეტილებების მისაღებად. თუმცა როგორც წესი, აღნიშნული პრობლემას არ წარმოადგენს (იხ პარ. „დამოუკიდებლობის ნაკლებობა“ ზემოთ). მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, კანონი ითვალისწინებს მართლმსაჯულების სისტემისთვის მრავალ არანაკლებ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას, რომლის მისაღებად საერთოდ არ არის საჭირო არამოსამართლე წევრთა ხმა. აღნიშნული კი თავად არამოსამართლე წევრების საბჭოში შეყვანის იდეას აკნინებს და მნიშვნელოვანწილად მას უფუნქციოს ხდის. ზემოთ მითითებული ინფორმაციული ასიმეტრია მოსამართლე და არამოსამართლე წევრებს შორის, ამითაც შეიძლება იყოს გამოწვეული.

ზემოთ უკვე აღინიშნა მოსამართლეთა ანგარიშვალდებულებისთვის მნიშვნელოვანი ინსტიტუტის – დამოუკიდებელი ინსპექტორის, მხოლოდ მოსამართლე წევრთა მიერ დანიშვნის შესაძლებლობა (იხ. კანონის 5<sup>12</sup> მუხლი). შედეგად, სასამართლოს ანგარიშვალდებულების მიზნით საბჭოში შეყვანილი არამოსამართლე წევრები გამორიცხული არიან სასამართლოს ანგარიშვალდებულებისთვის შექმნილი სხვა ინსტიტუტის – დამოუკიდებელი ინსპექტორის გამართულად ფუნქციონირების მნიშვნელოვანი ეტაპიდან. ქვემოთ არის რამდენიმე მნიშვნელოვანი და ხანდახან, ინდივიდუალური მოსამართლეთა დამოუკიდებლობისთვის, ხშირად კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელთა მისაღებად მოსამართლეთა ჰომოგენურ ჯგუფს არ სჭირდება 1 არამოსამართლე წევრის თანხმობაც კი:

- 1) რაიონული და საქალაქო სასამართლოების თავმჯდომარეების დანიშვნა, ასევე თავმჯდომარის უფლებამოსილების დროებითი დაკისრება, საერთო სასამართლოების შესახებ კანონი, მუხ. 32.1 და 32.3.
- 2) სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარის და თავმჯდომარის მოადგილის დანიშვნა, ან მათი უფლებამოსილების დროებით დაკისრება. მუხ. 23.6 და 23.7.
- 3) სააპელაციო სასამართლოს პალატებისა და საგამოძიებო კოლეგიის თავმჯდომარეების დანიშვნა. მუხ. 23.5
- 4) რაიონულ და საქალაქო სასამართლოებში ვიწრო სპეციალიზაციების და სასამართლო კოლეგიების შექმნა, მათი შემადგენლობის დამტკიცება და კოლეგიების თავმჯდომარეების დანიშვნა. მუხ. 30
- 5) უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატის წარდგენა. მუხ. 36
- 6) მოსამართლის დაწინაურება სააპელაციო სასამართლოში მუხ. 41.
- 7) იუსტიციის საბჭოს თავმჯდომარის არჩევა. მუხ. 47.2.<sup>1</sup>
- 8) მოსამართლის შემფასებელი წევრის და ასევე საბჭოს წევრის აცილება სხვა შემთხვევების მიხედვით. მუხ. 36.4<sup>5</sup> და 35.5.
- 9) იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს წევრთა უმრავლესობის არჩევა. მუხ. 66<sup>3</sup>.4

71 იქვე გვ. 24

შედეგად, საბჭოს ევროპულ მოდელში განსაზღვრული მონაწილეობის პრინციპის შესაბამისად არამოსამართლე წევრთა უფლებამოსილების განხორციელების პროცესს, ხელს უშლის ამ წევრთა არჩევის გაუმჭირვალე პროცედურა, წევრთა ნაწილის დამოუკიდებლობის ნაკლებობა და მათი მოქმედება საბჭოს ჰომოგენურ მოსამართლე ჯგუფთან ერთად, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების სიმრავლე, რომელთა მისაღებად საკმარისია მხოლოდ მოსამართლე წევრების ხმები.

## დასკვნა

წინამდებარე კვლევამ წარმოაჩინა ევროპული და საქართველოს სასამართლოს ადმინისტრირების ზოგიერთი მსგავსება და განსხვავება. როგორც კვლევიდან ჩანს, მართლმსაჯულების საბჭოს მოდელი წარმოადგენს ქმედით მექანიზმს სასამართლოს გარე დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად. თუმცა, იმავდროულად, ის მთელ რიგ რისკებს შეიცავს, რომლებიც აუცილებლად მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ეროვნული სისტემების შექმნის პროცესში. სასამართლოს ადმინისტრირების მოდელის შერჩევისას, მნიშვნელოვანია, გათვალისწინებული იქნას ადგილობრივი კონტექსტი, არსებული საკადრო რესურსი და ისტორიული გამოცდილება. სამწუხაროა, რომ საქართველოში, მართლმსაჯულების რეფორმის 4 ტალღის განხორციელებისას, ეს ფაქტორები არ ან ვერ იქნა გათვალისწინებული. კვლევის საფუძველზე, სისტემის ცვლილების მიზნით, დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფმა შეუმუშავა რეკომენდაციები, რომლებიც წარმოადგენილია ცალკე დოკუმენტის სახით.